

**ზოგადი წინადადება დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის
საკითხზე**

შემუშავებულია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს
კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ბატონო დიმიტრი,

2016 წლის 27 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველს N16471/16 განცხადებით მომართა ორგანიზაციამ „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR). განცხადების თანახმად, 2016 წლის 24 ნოემბერს, მედია საშუალება „დაიჯესტმა“ გაავრცელა ვიდეო სახელწოდებით - „ამ ვიდეოში პირიქითაა ციგნის ბავშვი ფულს კი არ გთხოვთ, გჩუქნით!...“ ვიდეო რგოლში ნაჩვენებია სოციალური ექსპერიმენტი, რომლის მიხედვით, ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვები ფულს სთავაზობენ გამვლელებს. ხალხის უმრავლესობა, ნეგატიური რეაქციით პასუხობს შეთავაზებას და უხეშად ცდილობს ბავშვების თავიდან მოცილებას. ამასთან, ქუჩაში მცხოვრები/მომუშავე ბავშვები მოხსენიებულნი არიან როგორც „ციგნები“. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ სიტყვა „ციგანი“, ატარებს დისკრიმინაციულ, ქსენოფობიურ, დამამცირებელ მნიშვნელობას და აღვივებს სიძულვილს, ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბოშა ბავშვების, როგორც ეთნიკური ჯგუფის მიმართ.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მედია დიდ ზეგავლენას ახდენს საზოგადოების ცნობიერების ფორმირებასა და სწორი ღირებულებების, მათ შორის, ტოლერანტული, ბავშვის საუკეთესო ინტერესზე ორიენტირებული გარემოს ჩამოყალიბებაზე. გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის განმარტებით, აშკარა და/ან ფარული დისკრიმინაცია შეურაცხყოფს ბავშვის ღირსებას და აქვეითებს ან საერთოდ ანგრევს ბავშვის თვითშეფასებას, სწავლის სურვილს.¹ რასიზმი და მსგავსი არაშემწყნარებლური დამოკიდებულება ფესვს იდგამს იქ, სადაც არსებობს გულგრილობა, უსაფუძვლო შიშები, სტერეოტიპები ან სწავლება არ ხდება სათანადო ღირებულებებზე დაყრდნობით.²

როგორც განსახილველი შემთხვევიდან ირკვევა, სიუჟეტის მიზანი იმის დემონსტრირებაა, თუ რა უხეშად ექცევიან საზოგადოების წევრები ქუჩაში მცხოვრებ/მომუშავე ბავშვებს - ვიდეო რგოლიდან იკვეთება, რომ მოქალაქეები ბოშა ბავშვებს უწოდებენ „ციგანს“,

¹ Committee on the rights of the children, General Comment no. 1 (2001) article 29 (1): the aims of education, § 10

² Committee on the rights of the children, General Comment no. 1 (2001) article 29 (1): the aims of education, § 11

მიმართავენ შეურაცხმყოფელი სიტყვებით, ასევე, ერთ-ერთი მოქალაქე ბავშვს ხელის უხეში მოძრაობით აგდებს მისი მანქანიდან.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ სიუჟეტის მომზადების მიზნის მიუხედავად, ავტორის მიერ დარღვეული იყო სტანდარტები, რომლითაც მედიის მიერ ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვა არის უზრუნველყოფილი. გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტი აღნიშნავს, რომ მედია საშუალებები ხშირად წარმოაჩენენ ბავშვებს იმგვარად, რომ ეს მათ მიმართ სტერეოტიპების დამკვიდრებასა და გამყარებას უწყობს ხელს. ამ კუთხით, კომიტეტი სახელმწიფოებს მოუწოდებს, უზრუნველყონ არასრულწლოვნების დაცვა მედიით გავრცელებული სტიგმის შემცველი, ბავშვის ღირსებისა და პატივის შემლახავი ინფორმაციისგან.³ კერძოდ, ვიდეოს ავტორი ქუჩაში მცხოვრებ/მომუშავე ბავშვებს მოიხსენიებს როგორც „ციგნებს“, რაც არის ბავშვების ამ დაუცველი ჯგუფის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების გამომხატველი დამკვიდრებული ტერმინი და მათი, როგორც ჯგუფის სოციალურ გარიყვას ემსახურება.

ასევე აღსანიშნავია, რომ გამოხატვის თავისუფლება გარანტირებულია ყველასთვის, მათ შორის, მედიისთვის, რომლის მიერ ამ უფლებით სარგებლობა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისა და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.⁴ თუმცა, ეს უფლება არ არის აბსოლუტური. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი იცავს პირის გამოხატვის თავისუფლებას, ამავე მუხლის მე-2 პუნქტი კი ამ უფლებით სარგებლობისას გარკვეულ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას ითვალისწინებს, კერძოდ, ადამიანმა მაქსიმალურად თავი უნდა შეიკავოს, მათ შორის, ისეთი გამონათქვამებისგან, რომელიც შეურაცხმყოფელია და ლახავს სხვათა უფლებებს.⁵ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, შემწყნარებლობა და სხვათა თანასწორობისა და ღირსების პატივისცემა დემოკრატიული და პლურალისტური საზოგადოების საფუძველია.⁶ სწორედ აქედან გამომდინარე, გარკვეულ საზოგადოებებში შესაძლოა არსებობდეს სანქციები ან აკრძალვა ისეთი გამონათქვამების მიმართ, რომელიც ავრცელებს, პროვოცირებას უკეთებს, ახალისებს ან ამართლებს სიძულვილს და შეუწყნარებლობას.⁷ ის გამონათქვამები კი, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციაში გამტკიცებულ ღირებულებებს, არ არის მე-10 მუხლით დაცული.⁸

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში შეაფასა 2000 წელს კულტურის სამინისტროს მიერ გამოცემულ წიგნში „თურქეთის ბოშები“ და კულტურის

³ Committee on the rights of the children, General Comment no. 13 (2011) §30, Violence in the mass media

⁴ ECtHR, *Castells v. Spain*, no. 11798/85, 23/04/1992, §43

⁵ ECtHR, *Otto-Preminger-Institut v. Austria*, no. 13470/87, 20/09/1994, § 49; *Wingrove v. The United Kingdom*, no. 17419/90, 25/11/1996, § 52

⁶ ECtHR, *Gündüz v. Turkey*, no. 35071/97, 14/06/2004, § 40

⁷ ECtHR, *Sürek v. Turkey (no. 1)* [GC], no. 26682/95, 08/07/1999, § 62

⁸ ECtHR, *Gündüz v. Turkey*, no. 35071/97, 14/06/2004, § 51

სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით გამოქვეყნებულ ლექსიკონებში „თურქული ენის ლექსიკონი მოსწავლეებისთვის“ და „თურქული ენის ლექსიკონი“ გამოყენებული სტიგმის შემცველი ტერმინები. მომჩივანი მიიჩნევდა, რომ წიგნი და ლექსიკონები შეიცავდა შეურაცხმყოფელ, მასტიგმატიზირებელ გამონათქვამებს და წარმოადგენდა დისკრიმინაციას ბოშების მიმართ. სასამართლომ მიუთითა, რომ საკითხი კონვენციის მე-8 მუხლით (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) დაცულ სფეროში ხვდებოდა.⁹ ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა, რომ პიროვნული ავტონომიის ცნება არის მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელსაც ეფუძნება მე-8 მუხლით გათვალისწინებული გარანტიების ინტერპრეტაცია. ის მოიცავს პირის ფიზიკური და სოციალური იდენტურობის მრავალმხრივ ასპექტს. კერძოდ, ჯგუფისადმი ნეგატიური სტერეოტიპის მინიჭებას, როდესაც ის აღწევს გარკვეულ დონეს, შეუძლია გავლენა მოახდინოს ჯგუფის იდენტურობის და თვითრწმენის განცდაზე. ამ მხრივ, აღნიშნულმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ჯგუფის წევრების პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებაზე.¹⁰

რაც შეეხება განსახილველ შემთხვევას, სიტყვა „ციგანს“ აქვს ნეგატიური დატვირთვა და აძლიერებს ბოშა ბავშვების მიმართ არსებულ სტიგმას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ ზოგადი წინადადებით, რომ „ფეისბუქის“ გვერდიდან აიღოთ სადავო ვიდეო და მომავალში, სიუჟეტის ან სხვა მასალის მომზადებისას, არ გამოიყენოთ ისეთი ტერმინები, რომელიც დაუცველი ჯგუფის წარმომადგენელთა ღირსებას შელახავს ან/და მათ მიმართ სტიგმის და სტერეოტიპული განწყობის გაძლიერებას შეუწყობს ხელს.

გთხოვთ, მაცნობოთ თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ.

პატივისცემით,

⁹ ECtHR, *Aksu v. Turkey* [GC], nos. 4149/04, 41029/04, 15/03/2012, § 45

¹⁰ ECtHR, *Aksu v. Turkey* [GC], nos. 4149/04, 41029/04, 15/03/2012, § 58